

**“კამელინით” მკურნალობის ეფექტურობის კვლევა წინამდებარე ჯირკვლის
დაავადებების დროს**

მე-20 საუკუნის 40–იანი წლების შემდეგ, როდესაც შეიქმნა 100% -ით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატი კამელინი, მან გაიარა ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევის ხანგრძლივი გზა. დადგინდა, რომ მას გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური და ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. აძლიერებს იმუნომოდულატორულ აქტივობას, აფერხებს სიმსივნური უჯრედების ზრდას, ამცირებს მოცულობითი წარმონაქმნების ზომებს, ებძვის პათოლოგიურ მიკროორგანიზმებს. ბალნეოლოგიურ

კლინიკაში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო კამელინით მკურნალობის ეფექტურობის შესწავლა უროლოგიური დაავადებების დროს – ქრ. პროსტატიტები, ქრ. ურეთრო- ცისტიტები და პროსტატეს ადენომა.

კვლევა ჩატარდა 30 პაციენტს (31-66 წლამდე მამაკაცს), რომელთაც ჰქონდათ ქრ. ბაქტერიული პროსტატიტი, თანდაყოლილი ცისტიტით და ურეთრიტით. სამ გამოსაკვლევ პაციენტს ჰქონდათ პროსტატის ადენომა 1-2 ხარისხის.

პაციენტებს აღენიშნებოდათ ძირითადი ჩივილები: ტკივილი და უსიამოვნო შეგრძნება შორისის არეში, გახშირებული შარდვა, წვა შარდვის დროს, პოტენციის დაქვეითება, ნაადრევი ეაკულაცია.

მოხდა აღნიშნული პაციენტების სრული პროგრამით გამოკვლევა-პროსტატის წვენის ბაქტერიოსკოპია, შარდის საერთო ანალიზი, პროსტატის და შარდის ბუშტის ულტრაბგერითი გამოკვლევა, საჭიროების შემთხვევაში ბაქტერიოლოგია და **PSA** გამოკვლევა.

ძირითად კრიტერიუმად შერჩეულ იქნა პროსტატის სეკრეტში ლეიკოციტოზის მაჩვენებელი, ეპითელიური უჯრედების რაოდენობა და ლეციტინის მარცვლოვნება. აგრეთვე ულტრაბგერითი კვლევის დროს პროსტატის ჯირკვლის ექოლოგიური სურათი და მისი ზომები.

დიაგნოსტიკური კვლევების შედეგად დადგინდა დიაგნოზი და მკურნალობა დაიწყო დილით 2 მლ. “კამელინისმ1” ინიექციით, ღამით ძილის წინ “კამელინმ4” სუპოზიტორით რექტალურად.

მკურნალობის ხანგრძლივობამ შეადგინა 20 დღე.

მკურნალობა მიმდინარეობდა როგორც მონოთერაპიულად(20), ასევე კომპლექსურად –ანტიპროტოზოული და ანთების საწინააღმდეგო საშუალებებთან ერთად(10 პაციენტი).

ჩატარებული მკურნალობის შედეგად პაციენტების მდგომარეობა გაუმჯობესდა, რაც გამოიხატა პროსტატის სეკრეტში ლეიკოციტოზის სარწმუნო შემცირებით და პროსტატის მასის შემცირების სარწმუნო დინამიკით. აგრეთვე პროსტატის ჯირკვლის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესებით.

მკურნალობის მაღალი თერაპიული ეფექტი მიღებული იქნა 15 შემთხვევაში (50%). კარგი თერაპიული ეფექტი 11 შემთხვევაში (36,6%), დამაკმაყოფილებელი 4 შემთხვევაში (13,3%). რაიმე გართულებას ან გვერდით მოვლენებს ადგილი არ ქონია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი შემთხვევა.:

1. პაციენტი ქ.დ. **49** წლის, დიაგნოზი- ქრონიკული პროსტატიტი. პროსტატის ადენომა **I-II** სტად. პროსტატის მოცულობა **64,3** კსოვილის სისქეში-პეროფერიულ ზონებში ისახებოდა შერეული ექოგენების და ექოსტრუქტურის მოცულობითი წარმონაქმნები დიამეტრით **22, 21 18** მმ. ნარჩენი შარდი **-40** მლ. კამელინით მკურნალობის ერთი კურსის შემდეგ მიიღეს- ზომა **36** გრ. პროსტატის პერიფერიული ნაწილი კეროვანი ცვლილებების გარეშე, ლეიკოციტოზი შემცირდა (**30-35** დან **10-15** მდე).

2. პაციენტი დ.ვ. **57** წლის, დიაგნოზი – ქრონიკული პროსტატიტი, პროსტატის ადენომა **2-3** სტადია. პროსტატის ზომა **80,4** გრ. **PSA - 11,0**. კამელინით მონოთერაპიული მკურნალობის ერთი კურსის შემდეგ პროსტატის ზომა - **49,9** გრ. **PSA -6**.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვასკვნით,რომ პრეპარატ კამელინის მ1 და მ4 ფორმების გამოყენება მონო და კომპლექსური თერაპიის სახით, ქრონიკული პროსტატიტების და ქრონიკული ურეთრიტების დროს მაღალეფექტურია.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია კამელინის გამოყენება უროლოგიური დაავადებების დროს.

ნ.სააკაშვილი, ზ.ბაინდურიშვილი